განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

24/12/2024

MES 1 24 0001651872

ბრძანება

თბილისი

„პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“ ფარგლებში საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 29 იანვრის N85231 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და პროგრამის "ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“ აღმასრულებელი დირექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის N1622157 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)" ფარგლებში საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 29 იანვრის N85231 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 მარტის N338 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“ (პროგრამული კოდი 32 09) ფარგლებში დამტკიცდეს საკოორდინაციო საბჭო (შემდგომ - საკოორდინაციო საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ბაია კვიციანი** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) **თამარ ღვამიჩავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);

გ) **თამარ მახარაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);

დ) **გიორგი ჯინჭარაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);

ე) **ირაკლი კუპრავა** - სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);
ვ) **მზია გიორგობიანი** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);
ზ) **ეკატერინე გუნცაძე** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);
თ) **დავით ტაბიძე** - სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);
ი) **თამარ სანიკიძე** - პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (WB)“ აღმასრულებელი დირექტორი (საკოორდინაციო საბჭოს წევრი);
კ) **ანა ბერძენაძე** - მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი (საკოორდინაციო საბჭოს წევრი - სათათბირო ხმის უფლებით).“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი

ალექსანდრე წულაძე